პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

25 იანვარი სამშაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 20 (15233)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ", დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიული კომიტეტები, კულტურის დაწესებულებანი, შემოქმედებითი კავშირები, პრესის ორგანოები აქტიურ ღონისძიებებს მიმართავენ, რომ შესრულდეს სკკპ XXIV ყრილობის მითითებანი ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის დონის ამაღლების შესახებ. კრიტიკის ამოცანები განიხილეს მხატვრული ინტელიგენციის ყრილობებზე, პლენუმებზე, კრებებზე. მეტი იბეჭდება შინაარსიანი სტატიები, რომლებიც გამსჭვალულია ზრუნვით სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის.

ამასთანავე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კრიტიკის მდგომარეობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება მოლიანად მოთხოვნებს, რომლებსაც განსაზღვრავს კომუნისტურ მშენებლობაში მხატვრული კულტურის სულ უფრო მზარდი როლი. საკმაოდ ღრმად არ აანალიზებენ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების, სოციალისტური ერების კულტურების ურთიერთგამდიდრებისა და დაახლოების პროცესებს. ბევრ სტატიას, მიმოხილვას, რეცენზიას ზერელე ხასიათი აქვს, დაბალია მათი ფილოსოფიური და ესთეტიკური დონე, მოწმობენ ცხოვრებასთან ხელოვნების მოვლენების დაკავშირების არცოდნას. კრიტიკაში დღემდე ვლინდება შემრიგებლური დამოკიდებულება იდეური და მხატვრული წუნისადმი, ხუთიექტივიზმი, ძმაბიჭური და ჯგუფური შიკერძობანი. ზოგჯერ იბეჭდება ისეთი მასალებიც, რომლებშიც მოცემულია საბჭოთა და რევოლუციამდელი ხელოვნების ისტორიის მცდარი ხედვანი, წინასწარ აკიცატებული შეფასება ეძლევათ ცალკეულ ხელოვანთა და ნაწარმოებებს. კრიტიკა ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ აქტიური და თანმიმდევრული სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების რევოლუციური, ჰუმანური იდეალების დამკვიდრებაში, ბურჟუაზიული „მასობრივი კულტურის" და დეკადენტურ მიმდინარეობათა რეაქციული არსის მხილებაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე სხვადასხვაგვარი არამარქსისტული შეხედულებების, რევიზიონისტული ესთეტიკური კონცეპციების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პარტიული კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები, შემოქმედებითი კავშირები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ ჯეროვან კონტროლს პრესის საქვეყნო ორგანოების, გამომცემლობების, ტელევიზიისა და რადიოს ორგანოების ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა ამაღლდეს ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის იდეურ-თეორიული დონე, მისი აქტივობა და პრინციპულობა მხატვრული შემოქმედების დარგში პარტიის ხაზის გასატარებლად.

კრიტიკის ვალია, ხაზგასმულია დადგენილებაში, ღრმად გააანალიზოს თანამედროვე მხატვრული პროცესის მოვლენები, ტენდენციები და კანონზომიერებანი, ყოველნაირად შეუწყოს ხელი პარტიულობისა და ხალხურობის ლენინური პრინციპების განმტკიცებას, ებრძოლოს საბჭოთა ხელოვნების მაღალი იდეურ-ესთეტიკური დონისათვის, თანამიმდევრულად გაილაშქროს ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა მოწოდებულია ხელი შეუწყოს ხელოვანის იდეური ჰორიზონტის გაფართოებას და მისი ოსტატობის დახვეწას. ავთორებს რა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ტრადიციებს, საბჭოთა ლიტერატურულ-მხატვრულმა კრიტიკამ ზუსტი იდეური შეფასება, ღრმა სოციალური ანალიზი უნდა შეუხამოს ესთეტიკურ მომთხოვნელობას, ტალანტისადმი, ნაყოფიერი შემოქმედებითი ძიებისადმი გულისხმიერ დამკიდებულებას.

შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს, შემოქმედებითს კავშირებს წინადადება ეძლევათ შეიმუშაონ და განახორციელონ საქვეუწყებო ეკონომიკის, გაზეთების, გამომცემლობების, ტელევიზიისა და რადიოს რედაქციების კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული სამსახურის ხელმძღვანელთა ინფორმაციის ხელშეწყობისა და ინფორმაციის ბაზის; გაანთავისუფლონ სარედაქციო კოლეგიები, გამომცემლობათა საბჭოები, რედაქციები კვალიფიციური, პროლეტარიულად მომწიფებული კადრებით, შექმნან შტატგარეშე ექტივი ავტორიტეტიანი კრიტიკოსებისაგან; გაითვალისწინონ ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებმცოდნეობის დარგის საუკეთესო ნაშრომთა წახალისების ფორმები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია შემოქმედებითს კავშირებს ყოველდღიურად იზრუნონ ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის იდეურ-თეორიული და პროფესიული დონისათვის, აამაღლონ მისი როლი კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, უცხო შეხედულებათა და კონცეფციათა წინააღმდეგ ბრძოლაში. შემოქმედებითი კავშირები, ნათქვამია დადგენილებაში, უნდა იყვნენ მხატვრული შემოქმედების აქტიურობა ხაკითხების, ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეული ნაწარმოებების განხილვის ინიციატორები და ორგანიზატორები, თავიანთი წევლილი უნდა შეჰქონდეთ სოციალისტური რეალიზმის თეორიული პრობლემების შემუშავებაში. უნდა გაუმჯობესდეს კრიტიკის კომისიებისა და საბჭოების საქმიანობა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სამინისტროებს, უწყებებს წინადადება ეძლევათ მათდამი დაქვემდებარებული ინსტიტუტების ყურადღება მიაპყრონ ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის თეორიისა და მეთოდოლოგიის პრობლემების ღრმა შესწავლას, გააკეთონონ მეცნიერთა მუშაობა თანამედროვე მხატვრული პროცესის, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კულტურათა ურთიერთმოქმედების კვლევაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება შეიცავს რეკომენდაციებს, რომ გაუჯობესდეს ლიტერატურის, კინოს, თეატრის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, ისტორიისა და თეორიის დარგის სპეციალისტთა მომზადება. მხედველობაშია, რომ უნივერსიტეტების, პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სპეციალური უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო გეგმებში გაითვალისწინონ ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის პრობლემებზე სტუდენტთა და ასპირანტთა ფაკულტატიური სპეციალიზაციისათვის საჭირო პირობები. სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიას ევალება გააუჯობესოს და გაიფართოოს ლიტერატურისა და ხელოვნების და ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის თეორიის დარგის კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადება აკადემიის ბაზაზე.

კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული საქმის შემდგომი გაუმჯობესებისა და მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის მიზნით მიზანშეწონილად ითვლება მიჩნეული შეიქმნას მასობრივი ლიტერატურულ-კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული ჟურნალი.

პარტიული კომიტეტების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, სამინისტროებსა და უწყებებს, შემოქმედებითს კავშირებს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს ორგანოებს მეტი დახმარება გაუწიონ კრიტიკოსთა კადრების აღზრდის, შერჩევისა და განაწილების საქმეში, განამტკიცონ კრიტიკოსთა კავშირი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, სრულყონ მათი მარქსისტულ-ლენინური თეორიული მომზადება.

მათ თავი ისახელეს

კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელის მოპოვებისათვის ფართოდ არის გაშლილი შეჯიბრება თბილისის ქარხანა „გაზაპარატში". გასული წლის შრომის შედეგებით ბევრმა მუშამ დაიმსახურა ეს საპატიო წოდება, მათ შორის არიან ახალგაზრდა მუშებიც, რომლებიც უფროსების მაგალითისამებრ შრომობენ. კარგახანია, დამკვრელური შრომის მაგალითს აჩვენებენ საამწყობო ხაამქროს ზეინკლები შალვა გელიტაშვილი და ვახტანგ ტოგოშვილი. ისინი მაღალნაყოფიერად შრომობენ და ამასთან მათი ნახელავი ყოველთვის ხარისხოვანია. **ხუთაშუ:** ქარხანა „გაზაპარატის" მოწინავე ზეინკლები, კომუნისტური შრომის დამკვრელები შ. გელიტაშვილი (მარცხნივ) და ვ. ტოგოშვილი.

ფოტო ა. ბაგაკაძისა.

აი რა იკისრეს

თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკაში

კარგად დაიწყო ხუთწლედის მეორე წელი თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა. მკერავები ენთუზიაზმით ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და კოლექტივის საერთო კრებაზე იკისრეს ვალდებულებანი მიმდინარე წლის გეგმისა და ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. მკერავებმა ვადაწყვიტეს: წლიური გეგმის შესასრულებლად 25 დეკემბრისათვის, სრული ხუთწლედისა — 1975 წლის 1 დეკემბრისათვის; წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვან 65 ათასი მანეთის პროდუქცია და მოახდინონ 150 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია; გეგმასთან შედარებით 0,5 პროცენტით გაადიდონ პირველი ხარისხის ნაწარმის გამოშვება, შრომის ნაყოფიერება აამაღლონ 5 პროცენტით.

რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით მიიღონ 130 ათასი მანეთი ეკონომია, აითვისონ 28 ახალი მოდელის სამკერვალო ნაწარმის გამოშვება.

დაზოგონ 50 ათასი კვადრატული მეტრი სხვადასხვა ქსოვილი, 40 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, ნედლეულისა და დამხმარე მასალების ეკონომიით 100 ათასი მანეთით შემცირონ პროდუქციის თვითღირებულება და მიიღონ 50 ათასი მანეთი შეგეგმილი მოგება.

ფაბრიკის კოლექტივის დავალებით: ა. ზულიაშვილი — დირექტორი, ს. ფირცხალავა — მთავარი ინჟინერი, შ. ილაშვილი — პარტკომის მდივანი, ნ. კოპალაძე — საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე, მ. უდუმაშვილი — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ნ. მიმინოშვილი — საამქროს უფროსი, ტ. ბუეაშულაშვილი — მკერავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკაში

ვარშავ გეგმის გადამეტებით მილიონ 329 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნა მომხმარებელს თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ახალი წლის დამდეგიდანვე ჩაება ახალ სოციალისტურ შეჯიბრებაში წლიური გეგმისა და ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

მეთამბაქოეებმა კოლექტივის კრებაზე იკისრეს გაზრდილი ვალდებულებანი: წლიური გეგმა შესრულონ 25 დეკემბრისათვის, წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 300 ათასი მანეთის ხიგარეტი და პაპიროსი; პროდუქციის თვითღირებულება შეამცირონ 0,1 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება აამაღლონ 5 პროცენტით;

იბრძოლონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისთვის, შეამცირონ არასაწარმოო ხარჯები, სრულყონ ნაწარმის გარეგნული გაფორმება, დაიწყონ ტექნიკური პროგრესი, რასთან ერთად — წარმოებაში დანერგონ ათამდე მნიშვნელოვანი ტექნიკური სიახლე;

დაზოგონ 2 ტონა თამბაქოს ნედლეული, 300 კვადრატული მეტრი საპირეს ქაღალდი, 300 კილოგრამი სამუშაოტუკი ქაღალდი, 50 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, 70 ათასი კუბური მეტრი საწვავი გაზი; რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვით მიიღონ 50 ათასი მანეთი ეკონომია.

ფაბრიკის კოლექტივის დავალებით: მ. ხვიჩია — მთავარი ინჟინერი, ი. დარჩია — პარტბიუროს მდივანი, ი. ჭრიხლესიაშვილი — საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე, კ. არეშაძე — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ე. ჩიხლაძე — საამქროს უფროსი, მ. ნიშარაძე — მუშა.

ხუთწლედს — დამკვრელური შრომა

ეხმაურებიან მოსკოველთა თაოსნობას

24 იანვარს მოსკოვიდან პრაღაში გაემგზავრა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირის მუშაობაში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. მ. პაკუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ა. ბ. რუსაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ს. კუზნეცოვი.

ვიუოოოს ალიოდრომზე დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ბ. ნ. პონომარიოვმა, ვ. ვ. გრიშინმა, ა. ა. ალიილუევმა, ნ. ფ. კულაკოვმა, ა. ტ. მაზუროვმა, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნიმ, ფ. ხ. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ა. ნ. შელეპინმა, ი. ვ. ანდროპოვმა, ვ. ნ. დემიჩევმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებმა ნ. ა. ბაიბაკოვმა, ბ. ვ. დემიჩევმა, ვ. ა. კირილინმა, მ. ა. ლესაჩენკომ, ვ. ნ. ნოვიკოვმა, ვ. ტ. ნოვიკოვმა, ლ. ვ. სმირნოვმა, ნ. ა. ტიხონოვმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა ა. ა. გრეჩკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველმა ბ. ნ. პაგლოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეებმა პირველმა მოადგილეებმა ო. ბ. რასმანენმა, ბ. ბ. ბორისოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველმა ბ. ნ. სმირნიტნოვმა, სსრ კავშირის სამოქალაქო მოგიაციის მინისტრის მოადგილემ ა. ი. სემენკოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ზ. კ�ნენი. (სადენი).

პრაღა, 24 იანვარი. (სადენი). ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად დღეს პრაღაში ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია.

დელეგაციაში შედიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. მ. პაკუშევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ა. ბ. რუსაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ს. კუზნეცოვი.

სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საზეიმო ალმებით მორთულ პრაღის აეროდრომზე საბჭოთა დელეგაციას დახვდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ბ. 	საკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ლ. სვობოდა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლ. ზბრანეკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ფოიტიკი, ო. შმიტაკი, ფ. ფნდრეიზი, ვ. სპოსოდა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ხნოუპეკი, სხვა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი, აეროვოკის მშრომელთა წარმომადგენლები.

დამპვდურთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ს. ვ. ჩერვონენკო.

კრაღაში ჩავიდნენ

პრაღა, 24 იანვარი. (სატელეფონო). აქ ჩამოვიდნენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გაჩუბოვსკი და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსი არმიის გენერალი ს. მ. შტემენკო.

პრაღაში ჩამოვიდა აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. ნ. როდიონოვი.

მეგობრობის კონცერტები

ქართული საოპერო სცენის ოსტატები ნოღაეთში

ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახელმწიფო ფილარმონიის ანსამბლი, ნოღაეთის ტრამალები დიდ თოვლს დაუფარავს. ახლაც განუწყვეტელივ თოვს. ხამრის სუსხიანი ქარი მძლავრად ატარიალებს თოვლის ფანტელებს, ცივა, თერმომეტრი 30 გრადუსზე მეტ ყინვას უჩვენებს, მიუხედავად ამისა ნოღაეთში ქართველი მეცხვარეები გმირულად შრომობენ. ისინი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ მზრუნველობას უპასუხებენ დაკისრებული მძიმე, მაგრამ საპატიო საქმისადმი განსაკუთრებული სიყვარულითა და თავდადებით. ამჟამად ენერგიის დაუზოგავად ეშაფერნიან მეცხოველეობაში ყველაზე რთული პერიოდისათვის — დოლისათვის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე გამოჩნდნენ ნაადრევად დაბადებული ბატკნები.

ამას წინათ ნოღაეთის ზამთრის საძოვრებზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა ყოფნის შემდეგ, რომლებიც გულდასმით გაეცნენ მწყემსთა საკმიანობასა და მათს პირობებს, მეცხვარეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რაიონების ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა დიდი ყურადღება დაუთმეს მეცხვარეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და კულტურულ მოსახურებას.

ამ საქმეში რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების მუშაკებიდან საუკეთესო ნაბიჯები თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობებმა გადადგეს. თეატრის დირექციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ითავეს პირველი სამეფო გასტროლები გაემართათ ზამთრის საძოვრებზე მყოფ მეცხვარეებთან.

იანვარი... მინერალური წყლები — ასტრახანის მატარებელი კოჩუბეის სადგურზე ჩამოდგა. მატარებლიდან ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი ლ. მუმლაძე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები პ. ამირანაშვილი და ზ. ანჯაფარიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. მუშაკუდიანი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ბ. ტორონჯაძე, მსახიობი მ. დონაძე, ბალეტის მსახიობები ბ. ბირკაძე და ლ. შაბანოვი.

საღამურზე ქართველ ვოკალისტებთან შესასვლელად მრავალი მეცხვარე მოვიდა. ისინი გულთბილად მიესალმნენ სასურველ სტუმრებს, რომელთა ჩამოსვლა კოჩუბეიში და მეცხვარეთა ბინებში ნამდვილ ზეიმად იქცა.

ქართული საოპერო სცენის ოსტატები პირველად თიანეთის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას ეწვივნენ. მეცხვარეთა ბინებში აღელდა ზ. ფალიაშვილის უკვდავი მელოდიები, კომპოზიტორების ვ. დოლიძისა და ა. კერესელიძის, ნ. ლაღიძის ნაწარმოებები. კონცერტის დაწყებამდე მეცხვარეებს ქართული ხალხური მუსიკის განვითარების გზებსა და მის პერსპექტივებზე ესაუბრა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. მჭედლიძე.

მეცხვარეებმა ქმაყოფილებით მოსმინეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის პეტრე ამირანაშვილის მიერ შესრულებული ჩაღრხიას არია ო. თაქთაქეშვილის ოპერა „ნიხდიადან" და კიაზოს არია „დამისხი, დამალევინე" — ოპერა „დაისიდან".

საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა გ. ტორონჯაძემ შეასრულა „ურმული" და „მენანსშირე" — კინოფილმიდან „მაგდანას ლურჯა".

მეცხვარეები აღტაცებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ზ. ანჯაფარიძის გამოჩენას, რომელმაც ჩვეული ოსტატობით შეასრულა ს. ცინცაძის სიმღერა „მეზავრული" კინოფილმ „ბაში-აჩუკიდან" და სიმღერა თბილისზე „ეკეპატეკებით ყველას".

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა თ. მუშკუდიანმა მეცხვარეებს უმღერა ზ. ფალიაშვილის ცანგალას კუპლეტები ოპერა „დაისიდან".

დამსახურებული წარმატება ხვდა ახალგაზრდობის მსოფლიო მერვე ფესტივალის ლაურეატს მ. დონაძეს, რომელმაც შეასრულა რ. ლაღიძის სიმღერა სამშობლოზე. ნიკოლოური სიმღერა „დაბრუნდი სორენტომი". ბალეტის მსახიობმა გ. ბირკაძემ შესანიშნავად შეასრულა პანტომიმა „ჯიუტი სახედარი".

კონცერტის დასასრულს მსახიობებმა გ. ტორონჯაძემ და მ. დონაძემ შეასრულეს საკოს და სიკოს კუპლეტები ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეფან".

საღამომ მეტად გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საბჭოთა დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში

მის აღმატებულებას დოქტორ აბუ საიედ ჩოუდრის, ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს

მის აღმატებულებას შეიხ მაჯიბურ რაჰმანს, ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს

ყველა სახელმწიფოსთან თანასწორუფლებიანობისა და მეგობრობის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ერთგული საბჭოთა კავშირი, რომელიც აგრეთვე ხელმძღვანელობს ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპებით, იცხადებს, რომ ცნობს ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკას როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, მზად არის დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით და პირადად ჩვენი სახელით

პატივისცემით

ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ა. კოსიგინი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

მოსკოვი, კრემლი 1972 წლის 24 იანვარი

ჯასპინსპრესის საძოვრები, ნოღაეთის ტრამალები დიდ თოვლს დაუფარავს. ახლაც განუწყვეტელივ თოვს. ხამრის სუსხიანი ქარი მძლავრად ატარიალებს თოვლის ფანტელებს, ცივა, თერმომეტრი 30 გრადუსზე მეტ ყინვას უჩვენებს, მიუხედავად ამისა ნოღაეთში ქართველი მეცხვარეები გმირულად შრომობენ. ისინი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ მზრუნველობას უპასუხებენ დაკისრებული მძიმე, მაგრამ საპატიო საქმისადმი განსაკუთრებული სიყვარულითა და თავდადებით. ამჟამად ენერგიის დაუზოგავად ეშაფერნიან მეცხოველეობაში ყველაზე რთული პერიოდისათვის — დოლისათვის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე გამოჩნდნენ ნაადრევად დაბადებული ბატკნები.

ამას წინათ ნოღაეთის ზამთრის საძოვრებზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა ყოფნის შემდეგ, რომლებიც გულდასმით გაეცნენ მწყემსთა საკმიანობასა და მათს პირობებს, მეცხვარეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების რაიონების ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა დიდი ყურადღება დაუთმეს მეცხვარეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას და კულტურულ მოსახურებას.

ამ საქმეში რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების მუშაკებიდან საუკეთესო ნაბიჯები თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობებმა გადადგეს. თეატრის დირექციამ, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ითავეს პირველი სამეფო გასტროლები გაემართათ ზამთრის საძოვრებზე მყოფ მეცხვარეებთან.

ნოემბერი... მინერალური წყლები — ასტრახანის მატარებელი კოჩუბეის სადგურზე ჩამოდგა. მატარებლიდან ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი ლ. მუმლაძე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები პ. ამირანაშვილი და ზ. ანჯაფარიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. მუშაკუდიანი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ბ. ტორონჯაძე, მსახიობი მ. დონაძე, ბალეტის მსახიობები ბ. ბირკაძე და ლ. შაბანოვი.

საღამურზე ქართველ ვოკალისტებთან შესასვლელად მრავალი მეცხვარე მოვიდა. ისინი გულთბილად მიესალმნენ სასურველ სტუმრებს, რომელთა ჩამოსვლა კოჩუბეიში და მეცხვარეთა ბინებში ნამდვილ ზეიმად იქცა.

ქართული საოპერო სცენის ოსტატები პირველად თიანეთის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას ეწვივნენ. მეცხვარეთა ბინებში აღელდა ზ. ფალიაშვილის უკვდავი მელოდიები, კომპოზიტორების ვ. დოლიძისა და ა. კერესელიძის, ნ. ლაღიძის ნაწარმოებები. კონცერტის

ბეგობრობის კონცერტები

ქართული საოპერო სცენის ოსტატები ნოღაეთში

დაწყებამდე მეცხვარეებს ქართული ხალხური მუსიკის განვითარების გზებსა და მის პერსპექტივებზე ესაუბრა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. მჭედლიძე.

მეცხვარეებმა ქმაყოფილებით მოსმინეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის პეტრე ამირანაშვილის მიერ შესრულებული ჩაღრხიას არია ო. თაქთაქეშვილის ოპერა „ნიხდიადან" და კიაზოს არია „დამისხი, დამალევინე" — ოპერა „დაისიდან".

საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა გ. ტორონჯაძემ შეასრულა „ურმული" და „მენანსშირე" — კინოფილმიდან „მაგდანას ლურჯა".

მეცხვარეები აღტაცებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ზ. ანჯაფარიძის გამოჩენას, რომელმაც ჩვეული ოსტატობით შეასრულა ს. ცინცაძის სიმღერა „მეზავრული" კინოფილმ „ბაში-აჩუკიდან" და სიმღერა თბილისზე „ეკეპატეკებით ყველას".

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა თ. მუშკუდიანმა მეცხვარეებს უმღერა ზ. ფალიაშვილის ცანგალას კუპლეტები ოპერა „დაისიდან".

დამსახურებული წარმატება ხვდა ახალგაზრდობის მსოფლიო მერვე ფესტივალის ლაურეატს მ. დონაძეს, რომელმაც შეასრულა რ. ლაღიძის სიმღერა სამშობლოზე. ნიკოლოური სიმღერა „დაბრუნდი სორენტომი". ბალეტის მსახიობმა გ. ბირკაძემ შესანიშნავად შეასრულა პანტომიმა „ჯიუტი სახედარი".

კონცერტის დასასრულს მსახიობებმა გ. ტორონჯაძემ და მ. დონაძემ შეასრულეს საკოს და სიკოს კუპლეტები ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეფან".

საღამომ მეტად გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ბოლოს ლიტერატურა, ეკრანი, ფერწერა, ბალეტი, ოპერა, ბალეტი, ოპერა, ბალეტი, ოპ

ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ

ᲐᲠ ᲓᲐᲚᲐᲕᲝᲑᲔᲜ ᲤᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲡ

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲬᲕᲔᲚᲘᲚᲔᲑᲘ — ᲛᲐᲑᲐᲫᲣᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲗᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲘᲠᲘᲡᲘᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲒᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲐᲞᲐᲠᲗᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲓᲐᲜᲘᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲘᲪᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲖᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ. ᲛᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲜᲐᲮ

ტამპერე, ვ. ი. ლენინის მუზეუმი

ფინეთის ქალაქ ტამპერეში 1946 წლიდან არსებობს ვ. ი. ლენინის მუზეუმი. ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტი ამას წინათ ეწვია ამ ქალაქს და ესაუბრა მუზეუმის დირექტორს არვი ლაატსოს, რომელიც დაჯილდოებულია ლენინის სიიუბილეო მედლით. მკითხველებს ვთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს.

□

— მკითხეთ ტამპერეს მცხოვრებლებს ქალაქის ღირსშესანიშნაობების შესახებ, და პირველად ვ. ი. ლენინის მუზეუმს დაგისახელებენ. ყოველწლიურად სულ უფრო მეტი ადამიანი ეცნობა მის ექსპოზიციებს. 1970 წელს 17 ათასამდე კაცი მივიღეთ. გასულ წელს, მიუხედავად შეკეთებით გამოწვეული ორთვიანი შესვენებისა, დამთვალიერებელთა რაოდენობამ ჩვენი ადგილებისთვის სოლიდური რიცხვს — 17.628-ს მიაღწია. ტამპერეს დაარსების დღეს —1 ოქტომბერს ქალაქის ხელისუფალთა განკარგულებით ყველა მუზეუმში შესვლა უფასოა, ჩვენმა მუზეუმმა შესაძლოა ქვეყნის რეკორდი დაამყაროს. მის ორ არც თუ დიდ მომიჯნავე დარბაზში ექვსი საათის განმავლობაში 3.650 კაცმა გაიარა.

— ვინ მოდის მუზეუმში?

— პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, ჩვენი თანამემამულეები— ფინელები. გასულ წელს მათმა რიცხვმა 11.841 კაცი შეადგინა. დამთვალიერებელთა შორის 30 ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, შვეიცარიან. ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და, რასაკვირველია. საბჭოთა კავშირიდან. ყველაზე ხშირად მოდიან მუშები, ახალგაზრდები. მოსწავლეები ჭგუფურ ექსკურსიებს აწყობენ. უცხო ენების ინსტიტუტების სტუდენტები ხშირად გიდებისა და თარჯიმნების როლში გამოდიან. ერთი სიტყვით, ჟქ მოდიან ფინელი ხალხის ყველა ფენების წარმომადგენლები.

ეს გასაგებიც არის. უადრესად დიდია ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პიროვნებისა და მისი ხაზმეების ისტორიული მნიშვნელობა. ამიტომ მუზეუმი ხელშესახებად მოუთხრობს უყველას ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფინურ პერიოდს, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა ჩემი თანამემამულეებისათვის.

უნდა დავუმატოთ, რომ ტამპერეს ვ. ი. ლენინის მუზეუმი ექსკურსანტების მომსახურების გარდა აწყობს სხვადასხვა კურსებს, სემინარებს, ლექციების ციკლს შესაბამისი სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების თანხლებით. ყველაფერი ეს, გამოცემულ პროსპექტებთან და ლენინის ლიტერატურასთან ერთად აღებული, კიდევ უფრო მეტად იზიდავს აქ ფინელ მოქალაქეებს. მუზეუმის საქმიანობა ხელს უწყობს საბჭოთა და ფინეთის ხალხების მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას.

თბილისში გაიხსნა ამერიკის გამოფენა

24 იანვარს თბილისში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე გაიხსნა გამოფენა „ამერიკელები და ნამუშევრები ამერიკის შეერთებულ შტატებში“. იგი. უწყობა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის, განათლებისა და სხვა დარგებში „ოცეულის“ შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა შეთანხმების შესაბამისად.

გამოფენის მომწყობთ სრულად საიუბილეო და საქართველოს საიუბილეო პალატების საბჭოთა და დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ფირმების ექსპონატებს. ამ ფირმებს ეკუთვნიან ინგლისიდან, ესპანეთიდან, ბელგიიდან, ავსტრიიდან, ბელგიიდან, ბულგარეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ფინეთიდან, ბელგიიდან, ბულგარეთიდან, ბელგიიდან, ბულგარეთიდან, ბელგიიდან, ბულგარ

საქართველოს ჭოა-ბარეში

შრიალებენ ტყეები

ფოთი. (საკ. კორ.). ვინაც ცხაკაიადან მატარებლით ან მანქანით უმგზავრია, უეჭველად მოიხიბლებოდა ცადატყეცრცილი მარადმწვანე ეკალიპტების, ჭადრის, კანადური ვერხვების, ალვის ხის მწკრივებით, რომლებიც საავტომობილო და ხარკინიგზო გზას ორივე მხარეს 18 კილომეტრის სიგრძეზე აშშვენებს.

მაგი ზღვის სანაპიროებიც მარადმწვანე მცენარეებით იფარება. აქ ბოლო წლებში აიეული კილომეტრი ერთზეულიქვიშნარი დაიფარა სხვადასხვა ჯიშის მცენარეებით.

კოლხეთის სატყეო მეურნეობის კოლექტივი არა მარტო ფოთის მიდამოებში, არამედ კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე აშენებს ასალ ტყეებს და დიდ წარმატებასაც აღწევს. ასალი ხეთწლედის პირველი წლის შემოდგომაზე სატყეო მეურნეობის მუშაკებმა 56 ჰექტარზე დარგეს 242.500 ძირი ხე. ძირითადად ტყის მასივი გაშენდა შავი ზღვისპირა ერთკილომეტრიან ზოლში, აბაშის რაიონში მდინარე ცხენისწყლის ნაპირებზე და ხორგის (ხობის რაიონი) სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე.

ტყის გაშენება გაზაფხულზე კვლავ განასლდება.

ინქინერთა სამჭედლო

ტყიბული. (საკ. კორ.). აღსანიშნავია ამ წელს ითვლის საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტყიბულის საღამოს დასწრებული სწავლების ფაკულტეტი, სადაც ამჟამად 600-მდე სტუდენტი სწავლობს. აქ მომავალი ინჟინრები წარმატებით ეუფლებიან სასარგებლო წიაღისეულთა საბადოების მიწისქვეშა დამუშავების ტექნოლოგიასა და კომპლექსურ მექანიზაციას, სამთო საქმის ელექტრიფიკაციასა და ავტომატიზაციას, საავტომობილო ტრანსპორტისა და მარგი წიაღისეულის საბადოთა გამდიდრებას.

ინჟინერთა კადრების სამჭედლოდ ქცეული ინსტიტუტის კედლებში მრავალი ასეული სპეციალისტი აღიზარდა. ბევრი მათგანი სახელოვანი ადამიანი გახდა. ისინი ახლა წარმოებებსა და სამშენებლო ობიექტებს უდგანან სათავეში.

ინსტიტუტის განკარგულებაშია ორი მრავალსართულიანი სასწავლო კორპუსი, ზოგადი და არაორგანული ქიმიის, მექანიკისა და მოლეკულური ფიზიკის, ელექტრობისა და მაგნეტიზმის, ატომისა და ნივთიერებათა აღებგების, საინჟინრო გეოლოგიის, ზოგადი გეოლოგიის, მასალათა გამძლეობის, შახტის ელექტრომომარაგების, საშახტო ავტომატიკის, ზოგადი და თეორიული ელექტრომექანიკის ლაბორატორიები, ხაზვისა და მხაზველობითი გეომეტრიის კაბინეტები, კეთილმოწყობილი ტექნიკური ბიბლიოთეკა, რომლის წიგნის ფონდი 10 ათას ეგზემპლარს აღემატება.

საღამოს სწავლების ფაკულტეტს მეგობრული ურთიერთობა აქვს ჩვენი ქვეყნისა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ინსტიტუტებთან. მის ლაბორატორიებში პრაქტიკას გადიან ჰიდროტექნიკისა და ზესტაფონის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტების სტუდენტები.

ოც ქვეყანაში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის ეზოში არის ლამაზად გაფორმებული სტენდი, რომელიც გვამცნობს, რომ ამ ქარხნის პროდუქცია ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ მსოფლიოს ოც ქვეყანაში ფუნავნება.

1971 წელს ქარხანამ მარტო კუბის რესპუბლიკაში გაგზავნა 240 ცალი არტეზიული წყალსატუმბავი. ჩახაძირი ელექტრატუმბოები გაიგზავნა ბულგარეთსა და უნგრეთში, არტეზიული ტუმბოების და სამსატო ელმავლების სათადარიგო ნაწილები — ჩეხოსლოვაკიაში, კუბაში, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ავღანეთსა და ეთიოპიაში.

კრიტიკა 3 ბიბლიოთეკიდან...



ფოტოაპარატით თბილისში

დღითიდღე შენდება და მშვენდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი. ამას წინათ წიგნის პალატა გადავიდა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილ ახალ სპეციალიზებულ შენობაში. აქ თერმეტი განყოფილებაა, რომლებშიც 74 თანამშრომელი მუშაობს. შექმნილია სამეცნიერო საბჭო პალატის დირექტორის, პოეტ ა. გომიაშვილის თავმჯდომარეობით.

• • •

სურათებზე: წიგნის პალატის ახალი შენობა; რესტავრატორი დ. ნოზაძე (მარჯვნივ) მუშაობისას.

ფოტო ა. რუხაძისა და ბ. პიპმაძისა. (საქდასის ფოტოკორნიგა).

ქრონიკა 3 ბიბლიოთეკიდან...

დიდი ხანია ასეთი ზამთარი არ გვქონია. განუწყვეტლივ ბარდნის. თეთრ სამოსელში გაბვეულა მთა და ბარი. შაბათს მზემ გამოანათა, თოვლი დადნა, ყინვამაც შედარებით იკლო. როგორც ხინოპტიკოსებმა ახსნეს, სამხრეთის ქვეყნებიდან გადმოსულმა თბილმა ჰაერმა შემოიტანა ხითბო, მაგრამ მომდევნო დღეს კვლავ აღმოსავლეთიდან წამოვიდა ცივი ჰაერი, ისევ დაიწყო თოვა. გუშინ მთელ ბაქართველოში ბარდნიდა. კვირა ღამით, ცაგერში იყო 7 გრადუსი ყინვა, ზუგდიდში — 5, ლანჩხუთში — 4, ფოთში, გაგრაში — 2, სოხუმში — 1. შედარებით მეტი ყინვებია აღმოსავლეთ საქართველოში. წალკაში ღამით იყო 18 გრადუსი ყინვა, ახალციხეში, მანგლისში — 15, მუხრანში, გურჯაანში, თელავში, ბაკურიანში — 12, გორში — 10.

თბილისში გუშინ 12 ხაათზე იყო 8 გრადუსი ყინვა.

თოვლის საფარის სიმაღლეზე შავი ზღვისპირა რაიონებში იკლო. ბათუმში 25 სანტიმეტრი სიმაღლის თოვლია, სოხუმში 15 სანტიმეტრისა. შიდა რაიონებში უფრო დიდი თოვლია, სამტრედიაში მაგალითად, 70 სანტიმეტრი სიმაღლის თოვლი დევს, ქუთაისში — 48, ხულოში, ხურამის უღელტეხილზე კი თოვლის ხაფარმა ორ მეტრს მიაღწია. აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში: ბაკურიანში, ბორჯომში, ახალციხეში — 70 სანტიმეტრი სიმაღლის თოვლი დევს, კახეთში თოვლის საფარის სიმაღლე 20-30 სანტიმეტრს უდრის.

დღეს, 25 იანვარს, **დასავლეთ საქართველოში** მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, ალაგ-ალაგ ძლიერამდე ქარი, რაიონის ხეობებში იქროლებს ძლიერი, წამში 15-20 მეტრი სიძლიერის ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში იქნება 4-9 გრადუსი ხითბოა, მთაში ერთი-ექვსი გრადუსი ყინვა. **აღმოსავლეთ საქართველოში** მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, თოვა, უმეტესად აღმოსავლეთ რაიონებში, ზოგან ნისლი, აღმოსავლეთის ხუსტი, დასავლეთის რაიონებში — ძლიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში იქნება 2-7 გრადუსი, მთაში — 4-9 გრადუსი ყინვა.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მეტადრ თოვა, ხუსტი ქარი, ტემპერატურა 1-3 გრადუსი ყინვა.

ეკონომიკა

ეკონომიკა

ეკონომიკა